ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2018 წლის 19 თებერვალი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126^1 მუხლის მეშვიდე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის №2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/01/2018, 010250020.35.158.016406) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 2

დამტკიცდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი მარტიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **თამაზ ჟორჟოლიანი**

დანართი №1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუხლი 1. პოლიტიკური თანამდებობის პირები		**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო**
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	1	3950
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	3100
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2950
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	4	2950
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	1600
	პროფესიული საჯარო მოხელეები		
მუხლი 2. საკრებულოს აპარატი			
პირველი რანგი			
1.	აპარატის უფროსი	1	2300
მესამე რანგი			

2.	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1100
3.	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	1000